

რუსულის გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოებად სიყვავათა
გადმოცემა ქართულში

უცხოური სიტყვები, რომელთაც რუსულში -ა დაბოლოება აქვთ (база, фазза, лампа... газета, цифра, пудра... читата, кабина...), ქართულში ორგვარი სახით გვხვდება:

ა) ასეთ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა უცვლელად გადმოვიდა ქართულში -ა დაბოლოებით და ა-ზე დაბოლოებული ფუძეკვეცადი სახელების წყებას მიეკუთვნა: ბაზა — ბაზისა, ფაზა — ფაზისა, ლამპა — ლამპისა (მაგ., ლამპის შუშა).

ბ) ზოგიერთ ასეთ სახელს ქართულში ბოლოკიდური ა ხმოვანი მოეკვეცა და ბოლოთანხმოვნიან სახელებს გაუთანაბრდა. ასეთებია, მაგალითად: გაზეთი, პაპიროსი, კატლეტი, ციფრი, პუდრი...

მაგრამ ა-ზე დაბოლოებულ რუსულა გზით შემოსული უცხოური სიტყვები ქართულში პარალელური ფორმებითაც გვხვდება: ბომბა და ბომბი, გრანატა და გრანატი, კაბინა და კაბინი, ფანერა და ფანერი, ცისტერნა და ცისტერნი, ციტატა და ციტატი, დეპეშა და დეპეში, პირამიდა და პირამიდი, ამპლიტუდა და ამპლიტუდი, ბისექტრისა და ბისექტრისი, ორბიტა და ორბიტი, პიპოთეზა და პიპოთეზი, შიპერბოლა და შიპერბოლი.

მაგალითები:

გრანატა:

მიკუებალოვდით, გრანატა მოეაშაღდე, როგორც კი ვისროლე... (გ. ნატრ.).

გრანატი:

ერატრელებმა შუაგულ ქალაქში რამდენიმე გრანატი ისროლეს („კომ.“).
პარამუტისტები ტრიბუნისაკენ გაეჭანენ და ორი გრანატი გადაადგეს („კომ.“).

კაბინა:

...კაბინას აღვამს ავტომობილს („ახ. კომ.“).
...კაბინაში დაჯდებოდა და საჭის ბერკეტებს ვადასწვევ-გაღმოსწევდა („ლიტ. გაზ.“).

კაბინი:

[მანქანის] მუხრუჭების სისტემა საიმედოა, მძღოლის კაბინი—მოხდენილი („კომ.“).

...ლიტვის კაბინს თერთმეტი ვასაჩერებელი აქვს („კომ.“).

ფანერა:

საბჭოთა მეურნეობამ სკოლის მისცა... თუნუქი, ფანერა და მასალები („კომ.“).
... შექმნილია 12 თასი ყუთისათვის საქმარისი ფანერა („კომ.“).

ფანერი:

კასრს დაფარებული ჰქონდა ფანერი („კომ.“).
საწოლები მხატვრულად არის გაფორმებული. გადაკრული აქვთ კაკლის ფანერი („კომ.“).

ცისტერნა:

გუშინწინ ორი ცისტერნა ბენზინი ნავთბაზის მავიერ სოფელში ამოიტანეს
(დ. შენგ.).

მატარებლის გადაადგების შედეგად განადგურდა: 24 ავტომანქანა, 45 მოტოციკლეტი,
ოთხი ცისტერნა ნავით... (დ. ბაქრ.).

ცისტერნა:

დაეტვირთოთ... 150 ათასი ცისტერნა ნავთის პროდუქტებით („კომ.“).

ჰიპოთეზა:

ნებას მივეცე ჩემს თავს ჰიპოთეზა გამოეთქვა (ნ. ლორთქ.).

ჰიპოთეზი:

ყველა ზემოაღნიშნული თვით ნ. მარის ჰიპოთეზი. რომელსაც კრიტიკული გან-
ხილვა და შემოწმებაც სჭირდება (ივ. ჭავჭავ.).
ის უარყოფს ე. კველიძის ჰიპოთეზს... (ივ. ჭავჭავ.).

რაკეტა:

საციროს სანახაობის ბრწყინვალე ამოთევის წარმოადგენს მსახიობების... რთული
ვარჯიში ცირკის თალის ქვეშ მდრინავ საპაერთ რაკეტაზე („ლელი“).
იაპონიამ რაკეტა გაუშვა („კომ.“).

რაკეტი:

ამერიკის რაკეტულმა თვითმფრინავებმა სატრანსპორტო კოლონა რომ შეამჩნიეს...
ტყვიამფრტვევი და რაკეტი დაუშინეს („კომ.“).

პლანეტა:

როცა კარგ გუნებაზე ვარ, ყოველთვის ვუცქერ ამ პლანეტას (ქ. ლომთ.).
მიწყაე პლანეტა... („ახ. კომ.“).

პლანეტი:

ისევე საკვირველი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლან-
ეტთა (ილია).

ორბიტა:

თვალს კაკალი ყველა თავისი ნაწილით მოთავსებულია თვალბუდეში—ორბიტაში
(„პლასტიკური ანატომია“).

ორბიტი:

... იმპერიალიზმის ორბიტს გამოგლიჯა დედამიწის მეექვსედი ნაწილი („კომ.“).
... ქართული ხელოვნების დეკადა ზაქარია ფალიაშვილის ორბიტში მოექცა
(„კომ.“).
... ავტორს წიგნის მერვე ნახევრიდან უკვე შეეყვართ მამინდელი უცხოეთის საინტე-
რესო ამბების ორბიტში („ლიტ. და ხელ“).

პირამიდა:

ფარაონის პირამიდაზე ენახე ერთი ბარელიეფი შარშან (ე. გამს.).
... თბილისელთა ოთხეულმა ზუსტად შეასრულა ურთულესი პირამიდა
(„ახ. კომ.“).

პირამიდი:

თუნდ პირამიდნი და სასახლენი დაიყვანეთ მათ საძირკვალამდე...
(ი. მარხ., თარგმ.).
დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელოთა გაიწყალოს თვალი და გონებო-
ბის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზე დეს იერთოლოფი ისე არ
უნდა იყოსო (ილია).

ამპლიტუდა:

... თბილისის „ზღვის“ წარმოქმნა... დედაქალაქში ტემპერატურულ ამპლიტუდას
2—3 გრადუსით შეანელებს... („კომ.“).
ტემპერატურის ამპლიტუდა (ინვარი-ოვლისი) 24⁰-დან 28⁰-მდეა (ნ. კეცხ.).
ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა და აბსოლუტური მინიმუმი მტრია ზღვიდან
დაცილებულ ადგილებში, ვიდრე სანაპიროზე (ნ. კვარაცხ.).

ამპლიტუდი:

... პნევმოგრაფი იწერს სუნთქვის ამპლიტუდას და სიხშირეს („ახ. კომ.“).

ამგვარი სიტყვები სხვადასხვა ლექსიკონშიაც კი სხვადასხვა ფორმით გვხვდება:

მაგალითად, „მათემატიკურ ტერმინოლოგიაში“ ამგვარი ტიპის უცხოური სიტყვები უმთავრესად -ა მოკვეცილი სახითაა შეტანილი: აბსცისი, ამპლიტუდი, ბისექტრისი, მანტისი, მედიანი, ორბიტი, პარაბოლი, პრიზმი, პლანეტი, ჰიპერბოლი, ჰიპოთეზი და სხვ.

შღრ.: აბსცისა, ამპლიტუდა, ბისექტრისა, ორბიტა, პარაბოლა, პლანეტა, პრიზმა, ჰიპოთეზა... (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ამრიგად, ერთი გარკვეული წესი ა-ზე დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხოური სიტყვების გადმოცემისას ქართულ სალიტერატურო ენაში გატარებული არაა.

მაინც შესაძლებელია ზოგიერთ გარკვეულ ტენდენციაზე მითითება.

1. -tura-ზე დაბოლოებული სახელები ქართულში ყოველთვის უცვლელად, -ა დაბოლოებით, გადმოიცემა: აგენტურა, ადვოკატურა, აპარატურა, კანდიდატურა, კლავიატურა, კორექტურა, კვადრატურა და სხვ.

ასევე უცვლელადაა გადმოცემული მა-ზე დამთავრებული სიტყვები: თეორემა, დრამა, დიორამა, პროგრამა, ფერმა, ფირმა, ტელეგრამა და მისთ.

-იზა დაბოლოებიანი: ექსპერტიზა, ანტრეპრიზა...

-იკა-ზე და კა-ზე: ფიზიკა, ენერგეტიკა, ტონიკა...

2. საერთოდ, ა-ზე დასრულებულ უცხო სიტყვათა დიდი უმრავლესობა რუსულიდან ქართულში უცვლელად, -ა დაბოლოებითაა შემოსული, ამ სახით დამკვიდრდა ქართულში უცხოურ სიტყვათა მთელი წყება:

ბაზა, ბრიგადა, პროპაგანდა, დეკადა, ლამპა, სცენა, ლოჯა, აფიშა, მასკა, მოდა, მანერა, ფიგურა, ფაზა, ანკეტა, კანტორა, კატორღა, პაუზა, ნორმა, დოზა, დიეტა, არენა, ბირჟა, სიგარა, სქემა, ფლორა, ფაუნა, ანგინა, აორტა, ვენა, განგრენა, ჰიგიენა, კავერნა, პლევრა, გლუჟოზა, ეგზემა...

შენიშვნა. ატმოსფერო-ს და იქედნე-ს ტიპის სიტყვები, რომლებიც რუსულში ა-ზე ბოლოვდება, ქართულში თავისებურადაა გადმოცემული: ატმოსფერო და იქედნე, მაგრამ ეს ფორმები ქართულში ძველი დროიდან დამკვიდრდა და რუსულთან არაა დაკავშირებული.

უკვე აღინიშნა, რომ ა-ზე დასრულებული უცხო სიტყვები ქართულში უმთავრესად რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა. ეს ა ხმოვანი სიტყვის ბოლოს უცხო სიტყვათა გარკვეულმა ნაწილმა რუსულ ენაში შეიძინა, ხოლო შემდგომ რუსული ენის გზით ქართულშიც გადმოვიდა.

შღრ.:

бацилла	—ლათ.	bacillum
цитата	—გერმ.	das Zitat
вахта	—გერმ.	die Wache, die Wacht
ракета	—გერმ.	die Rakete
гипотеза	—ბერძ.	ἵπóθησις
кабина	—ფრანგ.	la cabine

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ა ხმოვნით გადმოიცემოდა რუსულში უმთავრესად მდებარეობითი სქესის უცხო სიტყვები („В первой поло-

ვინე XIX საუკუნის ქართული ენის სიტყვებიდან უმეტესად რუსულიდან მომდინარეობს. ეს სიტყვები უმეტესად რუსულიდან მომდინარეობს. ეს სიტყვები უმეტესად რუსულიდან მომდინარეობს.

როგორც ცნობილია, უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი რუსულში ფრანგული ენის მეშვეობით შევიდა. ამ შემთხვევაში -ა დაბოლოებით გადმოიკა რუსულში ფრანგულიდან შესული მდებარეობითი სქესის სახელები, რომლებიც ქართულში, თავის მხრივ, ხან ა-თი გვხვდება და ხან უანოდ.

- бомба —la bombe (ბომბა, ბომბი)
- баррикада —la barricade (ბარიკადა, ბარიკადი)
- ниша —la niche (ნიშა, ნიში)
- кабина —la cabine (კაბინა, კაბინი)
- галета —la galette (—, გალეთი)
- манжета —la manchette (—, მანჟეტი)

ამგვარადვე გადმოვიდა რუსულში ქართულში შემდგომ ა დაბოლოებით დამკვიდრებული სახელები:

- лампа —la lampe (ლამპა)
- сцена —la scène (სცენა)
- ложа —la loge (ლოჟა)
- афиша —la affiche (აფიშა)
- мода —la mode (მოდა)
- манера —la manière (მანერა)
- доза —la dose (დოზა)
- анкета —la enquête (ანკეტა)
- ферма —la ferme (ფერმა)
- помада —la pommade (პომადა)

შედარებით იშვიათია ქართულში ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ a მხოვანმოკვეცილი ფორმით იხმარება, ე. ი. თანხმოვანფუძიანი გამხდარა.

ასეთი სიტყვებია:

- | | | | |
|----------|------------------|------------|---|
| გაზეთი | (газета) | ჰაუპტვახტი | (гауптвахта) |
| ციფრი | (цифра) | ჰეკატომბი | (гекатомба) |
| კანფეტი | (конфета) | ჰილზი | (гильза) |
| კატლეთი | (котлета) | დუჟინი | (дюжина) |
| პაპიროსი | (папироса) | დიუნა | (дюна) |
| პუდრი | (пудра) | ჰამში | (замша) |
| კარტი | (карта) | დომინანტი | (доминанта) |
| კალოში | (калоша, галоша) | ნოტი | (нота), მაგრამ ნოტა (დიპლომატი.) |
| გალეთი | (галета) | პალატი | —სასახლე (палата), მაგრამ პალატა (палата): საავადმყოფოს |
| პლომბი | (пломба) | პალატა | თემთა პალატა |
| გამაში | (гамаша) | პაპი | (папа) |
| ბლონდი | (блонда) | | |

ზოგი მათგანი ზეპირი გზით ჩანს შემოსული (გაზეთი, გაღვები, კანფები, კატლეტი, პულრი, გამაში, კალოში, კარტი. შღრ., სასაუბრო ენის „ბულიკი“— რუს. булка, „კალბასი“— колбаса). მაგრამ a-ს მოკვეცა ნასესხებ სიტყვაში ამ სიტყვების ზეპირი გზით შემოსვლას არ უნდა მიეწეროს.

არის სიტყვები, რომლებიც ქართულში მხოლოდ ზოგიერთი სათანადო განათლების არმქონე პირის მეტყველებაში თუ გვხვდება, მაგრამ რომლებშიც a სიტყვის ბოლოს მაინც დაცულია:

მაგ-ლათად:

„პარტა“ (парта)	„მაშინა“ (машина)
„პლიტა“ (плита)	„ატაკა“ (атака)
„ტრუბა“ (труба)	„აბლავა“ (облава)

კიდევ მეტი, ქართულში, ამგვარსავე მეტყველებაში ზოგჯერ ა ანალოგიით დაერთვის რუსულიდან შემოსულ სიტყვებს, თუმცა რუსულში სიტყვის ბოლოში a არ არის.

ВАТИН—ვატინი ვატინა	НАГАН—ნაგანი ნაგანა
САТИН—სატინი სატინა	ГЕОРГИН—გეორგინი გეორგინა
РАТИН—რატინი რატინა	ГОЛАК—გოლაკი გოლაკა

ხშირად a ხმოვანმოკვეცილი ზოგიერთი ფორმის წყარო რუსული მრავლობითი რიცხვის ფორმაა (მაგ., მრავლ. калюши, галеты, котлеты, карты...).

ანალოგიური პარალელური ფორმები საკუთრივ ქართულ სიტყვებსაც ან აღმოსავლურ ენებიდან შემოსულ სახელებსაც მოეპოვებათ: ქართულში ა ბოლო-ხმოვნისანი სახელების გვერდით ა- მოკვეცილი, თანხმოვანფუძისანი ვარიანტებიც გვხვდება. ჩვეულებრივ, უფრო გავრცელებულია ა ბოლოხმოვნისანი ფორმები. ბევრ შემთხვევაში ეს ა წარმოშობით კინოზობითის მაწარმოებელია.

ძალი—ძალა:

ვექე, ჩემი სისხლი არ შეპარეს, ძალი შემწვედეს ქაღილსა („ვეფხისტყ.“, 608).
 კაცო, ძალსა ნუ იქაღი, ნუცა მოკვეცხ ვითა მთრვალი,
 არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი („ვეფხისტყ.“, 1046).

მელი—მელა—მელია:

ერთი მელი დაცანცარებდა... ერთი მამალი შემოეყარა, ჰკითხა მელსა (საბა).

წიწილა—წიწილი:

ქორმა წიწილა წაიღო,
 იძახდა წივე-წივისა (ვაჟა).

ტომარა—ტომარი:

ატნი ტომარა, მატნი ტომარა,
 სახელს რომ გეტყვი, გვარს მიტომ არა (გამოცანა).
 საჩქაროდ მოარბენინა ნაცნობის ბინაზე დატოვებულ დიდი ტომარი (ნ. ლორთქ.).

კალათა—კალათი:

დიდედამ ხლით სავსე ვარკა დიდი კალათა ბავშვებს გადაუშალა თითქმის ძალის-ძალათა (შ. მღვ.).

ალათასა, მალათასა, ხელი ჩაყე კალათასა (ხალხ.).
 მიდის ურმისაყენ ყურძნით სავსე კალათა კალათაზე და იცსება გოდორი-გოდორზე (ს. შანშ.).

წიფელა—წიფელი:

„ხმელი წიფელი“ (ვაჟა).

პეპელა—პეპელი:

მაშ რად მინდა პეპელი
უჯნური, თავის მკვლელ? (აკაკი).

ოფოფი—ოფოფა:

წერთაც გადაიარეს,
მერცხალიც მოფრენილათ,
ოფოფა სავარცხლიანი
იმათ მოუძღვა წინათ (ვაჟა).

და ასე: **წურბელა** და **წურბელი**, **ჭიანჭველა**, **ჭინჭველა** და **ჭინჭველი**, **პრახი** და **პრახა**, **პილპილი** და **პილპილა**, **შიშველი** და **შიშველა**, **ტიტველი** და **ტიტველა** და სხვ.

აღნიშნულ პარალელურ ფორმათაგან ა მოუკვეციელი ფორმები უფრო სი-
ცოცხლისუნარიანი ჩანს.

რუსულიდან მომდინარე **ა-ზე** დასრულებულ უცხო სიტყვათა ქართულში
გადმოსაცემად უცხო ენის დაწერილობასა ან წარმოთქმასზე დაყრდნობა გაუმართ-
ლებელი იქნებოდა. ამით საქმე გართულდებოდა და ფორმათა სიჭრელეს ვერ
ავიცოდნდით. ამოსავალი უნდა იყოს შეამავალი (ამ შემთხვევაში რუსული) ენა.

ა-ზე დასრულებულ რუსულიდან მომდინარე უცხო სიტყვათა გადმოცემა
ქართულში ა ხმოვანმოუკვეცლად (ხმოვანფუძიანად) საესებით ბუნებრივი ჩანს.
ასეთ ფორმებს უპირატესობა აქვთ ხმოვანმოკვეცილებთან (თანხმოვანფუძიანებთან)
შედარებით.

რამდენადაც ასეთი სახელები ფუძეკვეცადები არიან, წარმოებთას, კერძოდ
ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას, არ იქნება არავითარი უხერხულობა,
ხოლო თანხმოვანზე დაწყებული სუფიქსების (ვთქვათ, მრავლობითის ნათესაო-
ბითში **თ-ს**) დართვისას, რაც ძალიან ხშირია, ამათ დიდი უპირატესობა აქვთ
თანხმოვანფუძიანებთან შედარებით: მიუხედავად იმისა, რომ **დეპეშა-ს** გვერდით
საქმოდ ხშირად **დეპეში** იხმარება, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ **დეპეშათა** სა-
გენტო (**დეპეშთა** შეუძლებელია). ასევე უფრო მოსახერხებელია თანდებულების
დართვა ამ ფორმებზე: **შდრ. პრიზმზე** და **პრიზმაზე**, **პრიზმში** და **პრიზმაში**.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ქართულში ასეთი უცხო სიტყვები
ხმოვანმოუკვეციელი ფორმითაა გაბატონებული, თანხმოვანფუძიანი ფორმები უფრო
იშვიათია. პარალელურ ფორმათა ხმარების შემთხვევაშიც (**ჰიპოთეზა—ჰიპოთეზი**,
ციტატა—ციტატი, **კაბინა—კაბინი...**) ა ხმოვანი ვარიანტების ხმარება სჭარ-
ბობს.

ნათქვამის საფუძველზე:

1. **ა-ზე** დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხო
სიტყვები ქართულში უნდა გადმოიციეს ა დაბოლოებით, ხმო-
ვანფუძიანად.

მაშასადამე, უნდა იყოს:

აბსცისა, ალტერნატივა, ამპლიტუდა, ამპულა, ამბრაზურა,
ანკეტა, ანტენა, ანტიფეზა, ანტრეპრიზა, ანფილადა, აორტა,
ბალერინა, ბარკადა, ბაცილა, ბიხექტრისა, ბლოკადა,
ბუფონადა, გირლანდა, გლუკოზა, გრიმასა, დრეზინა,
კაბინა, კავატინა, კამერა, კანტატა, კარეტა, კოლონადა,
კომეტა, კომორტა, კუპიურა, ლაიკა, ლაქტოზა, მაკაკა,
მანდოლინა, მანტისა, მატრიცა, მედიანა, მემბრანა, პარაბოლა,

პარადიგმა, ტუჩბინა, პასტა, პერსპექტივა, პირამიდა, პლატონა,
პრინციპა, რეტორიკა, ფისტულა, ციტატა, პიპერბოლდა...

შენიშვნა. დავას არ იწვევს ის სიტყვები, რომლებიც რუსულში ბოლოვდება -тыра, -ма, -на, -на, -на და -на-ზე; მათ ქართულში პარალელური ვარიანტები არ აქვთ. ყველა ა-ზე ბოლოვდება (ამბრატურა, კანდიდატურა, კლავიატურა... თეორემა, რეკლამა, პრეგრამა... ექსპერტიზა, ანტრეპრეზა... ფიზიკა, ენერგეტიკა...).

2. გამონაკლისის სახით თანხმობან ფუძიანებად უნდა დადასტურდეს ქართულში ასე დამკვიდრებული სიტყვები:

გაზეთი	ჭამში
ციფრა	დომინანტი
კატალიტი	ნოტი (მუს.), პეტრე ნოტი (ლიბე.)
მაპიროსი	ფანერი
მანქანი	ბოში
ბლომი	კოორდინატო
პაპი (რელიგ.)	ჩრდილტი
ვაბტი	კალოში
შაბტი	იოტი
პაუპტივაბტი	კალკი
რეზინი	კულისი
პილზი	გლანდი
დიუნი	როზტი

შენიშვნა 1. ორივე მუხლით ნაჯარუდგვი ყველა სიტყვა ორთაფრად-ფიულ ლექსიკონშია სრულად წარმოდგენილი.

შენიშვნა 2. ხფერო და რთულფუნიანი სიტყვები, რომლებშიც ეს სიტყვა შედის ატრატოსფერო, ხუბსტრატოსფერო, ატრატოსფერო, ბიბს-ფერო და მისი.) ქართულში ის დამოუკიდებლად უნდა დარჩეს.